



**დაკავება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება**

**მარიამ თაბაგარი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი, მაგისტრი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2019**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ თაბაგარი

1/07/2019

## აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით აღიარებულია თავისუფლების უფლება. სწორედ, თავისუფლების უფლების ქრილში, ევროპული კონვენცია, აღნიშნული უფლების დაცვის მნიშვნელობის გაანალიზებით, მნიშვნელოვან და საინტერესო პრაქტიკას აყალიბებს. შესაბამისად, საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო იძულების დროებითი ღონისძიება „დაკავების“ ანალიზი და სხვადასხვა სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობა.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, საერთო სასამართლოების მიერ, დაკავების გამოყენების შესახებ გაცემული განჩინებების დასაბუთებულობის შეფასება. ასევე, გაანალიზდება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებული დაკავების საფუძვლების დასაბუთებულობა, ევროპული სასამართლოს მიდგომები - საპროცესო იძულების ერთ-ერთი ღონისძიების გამოყენებისთვის გონივრული დასაბუთების ქრილში, ევროპული კონვენციით განსაზღვრული დაკავებული პირის უფლებრივი გარანტიები. გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში განხილულია, დაკავების ვადის რელევანტურობა და მისი ვადის ათვლის პრობლემური საკითხები, დაკავებულის ფუნდამენტური უფლებების ქრილში, ასევე, გაანალიზებულია დაკავების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობის არსებობა/არარსებობის რეალური მექანიზმი.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა აკადემიურ ნარატივებს, საქართველოს კანონმდებლობას, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, ევროპულ კონვენციას, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

ნაშრომის შედეგი - წინამდებარე ნაშრომში გაერთიანებულია დაკავების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ძირითადად პრაქტიკაში დასაბუთების სტანდარტის არარსებობისაკენ და დაკავების კანონიერების შემოწმების უფლებელყოფისკენ არის მიმართული. გარდა აღნიშნულისა, მკითხველი გაეცნობა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებებს დაკავების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, ასევე, აღნიშნული პრობლემური საკითხის შესაძლო კავშირს „შეფარულ“ პატიმრობასთან.

ნაშრომის ღირებულებას/სიახლეს საპროცესო იძულების სახის დაკავებისა და „საპატიმრო გირაოს“, “შეფარული პატიმრობის“ ერთობლივი ანალიზი წარმოადგენს. საკვლევ თემაში წარმოჩენილია ის პრობლემური საკითხები, რომლებზეც სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ასევე, კონკრეტული საკვანძო საკითხებია გაანალიზებული, ევროპულ კონვენციასთან შედარების მეშვეობით, ადამიანის თავისუფლების უფლების მნიშვნელობის ჭრილში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დაკავება, საპატიმრო გირაო, კონვენცია, თავისუფლების უფლება.

## Abstract

The Convention on the Protection of Human Rights is confessed the physical liberty of the person. Namely, Article 5, Right to liberty and security According to which, „Everyone has the right to liberty and security of person. No one shall be deprived of his liberty save in the following cases and in accordance with a procedure prescribed by law.” According to the analysis this article 5 the European Court makes a significant practice in discussing cases, which makes it interesting and important to analyze the practice, which is established by the European Court.

The purpose of the research is to interpretation of laws about "detention" which is interim measure of procedural coercive measures envisaged by the Criminal Procedure Code of Georgia, its relevance with the Constitution of Georgia and the Convention for the protection of Human Rights and Fundamental Freedom.

The subject of research of the Master's thesis is to evaluate the validity the court ruling about detention. Also Rights guarantee of persons detained by the European Convention, Release of detention term, the person who is deprived of his liberty by arrest or detention shall be entitled to take proceedings.

Thesis is mainly based Georgian legislation and their explanation, Academic works, The European Convention, the practice established by the European court and also Georgian court decision.

The value of this thesis is a joint analysis of the "detention" and "custodial bail", also in this thesis reviewed problematic issues and different opinions.

Key words: detention, custodial bail, convention, research, right to liberty